



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბოგ ბეჭდ-
უძი სიფყვას, ფედიულებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისებზე უსამაგლესია.

გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 11 იანვარი. 2019 წ. №6 (8672)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი



„ბარიბა“, თაღლით ფარმაცევტულ კომპანიებს ხალხის და სახელმწიფოს ფასებზე ჰკიდიათ!

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ფარმაცევტულ კომპანიებს ეაჯება, რომ გაზრდილი ავადობის პერიოდში გამოიჩინონ სოციალური, კორპორაციული პასუხისმგებლობა და ანტივირუსულ პრეპარატ „ტამიფლუ-ზე“ ფასები დაწიონ.

მისი თმით, ამის რეზერვი და შესაძლებლობა ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც „ტამიფლუს“ დისტრიბუციას ახდენენ, აქვთ.

„ტამიფლუს“ მწარმოებელი არის ერთადერთი კომპანია, რომელიც მთელ მსოფლიოში ყიდის ამ პრეპარატს. თუკი ვინმე ნახულობს, რომ პაციენტისთვის საზღვარგარეთ უფრო იაფი ჯდება არა იმი-

ტომ, რომ წამალია იაფი, არამედ, ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო, საყოველთაო ჯანდაცვა ან კერძო სადაზღვევო პაკეტი უზრუნველყოფს თანაგადახდის ძალიან მაღალ, თითქმის 90 პროცენტს და ეს მცირე ფასი არის დარჩენილი პროცენტი.

ჩვენ რა ფასადაც ვყიდულობთ, მე არ მაქვს ახლა ამის გამხელის უფლება, რადგან მეორე მხარემ ამის შესახებ უნდა იცოდეს. თუმცა, მექნება თხოვნა ფარმაცოლოგიური კომპანიებისადმი, რომლებიც ამ პრეპარატის დისტრიბუციას აკეთებენ, გამოიჩინონ სოციალური, კორპორაციული პასუხისმგებლობა და შეძლებისდაგვარად ამ კონკრეტულ პრეპარატზე ფასები დაწიონ, - განაცხადა სერგეენკომ.

დავით სერგეენკოს ამ განცხადებას კომენტარიც არ სჭირდება. ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური უბედურებაა, რომ ძვე-
ყანას „ბარიბა“, თაღლითი, ხარბი „ბიზნესმენები“ მართავენ.
...და ეს მხოლოდ ფარმაცევტულ ბიზნესს არ ეხება!..



5 გუნდურობას ალტერნატივა არა აქვს!

ბიძინა ივანიშვილი უზანაისი
სასამართლოს მოსამართლეების
არჩევასა და მმართველ
გუნდში მიმდინარე
პროცესებზე გვესაუბრება...

ისტონიის ბენერალური პროკურორი:

DANSKE BANK-ში
საქართველოდან
და აშშ-დან
გადარისხული
300 მილიონი 3
პრო ბაბთიკას

რამდენ 3
მილიონს იხდის
საქართველოს
მოსახლეობა 112-ის
საკომისიოში?



4 რა ელის ათასების ანაბრებს?


აუჩხუჩი „ახაჯის“ კამო?!

პაპა ბერიძე: საბანკო სისტემის ჩამოშლის
მცდელობა, დაახლოებით, კავკასიაში ატომური
ბომბის ჩამოვარდნის ეფექტის ტოლფასია! 5



ოქროს 5
თუ არა
საქართველოს
ეკონომიკის
დუმილი?!

ნაპა პუტინი ხალხის აზრის წინააღმდეგ?



ანუ ითვლება
თუ არა 8
კურილიის
კუნძულები
ოკუპირებულია

100 წლის გაზეთს კვავ თქვენი დახმარების იმედი აქვს!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქალაქისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.
განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

სუმო

გაინს გაპოღის!



მიიღება თუ არა ქართველი სუმოსტი ლევან გორგაძე – იგივე ტოჩინოშინი – მონაწილეობას 2019 წლის პირველ სუპერთურნირში, კარგა ხანს უცნობი იყო.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის ტოჩინოშინმა მოსამზადებელ ციკლში მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და დაახლოებით ერთი კვირა საწვრთნელი შეხვედრების ჩატარებას ვერ ასერსებდა.

ცხადია, დოჰიოზე გასვლის შემთხვევაში ტრავმის კიდევ უფრო გართულების რისკი არსებობდა. ამდენად, ქართველი სეკიტორი რთული გადაწყვეტილების წინაშე იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, ტოჩინოშინი დასავლეთის მე-2 ოქციის წოდებას ატარებს, მოახლოებული ტურნირის გამოტოვების შემთხვევაში კი კაღობანში ჩაყენება არ ასცდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუკი გორგაძე სეზონის სასტარტო შეჯიბრზე დადებით ბალანსს (კაჩი-კოშის) ვერ დააფიქსირებდა, ოქციის ტიტულთან გამოთხოვება მოუწევდა.

როგორც გუშინ გადაწყდა, ტოჩინოშინი 13-27 იანვარს ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგაკანში“ გასამართავ ჰაცუ ბაშოში გამოვა!

კობა კობახიძე

საზონის სტარტზე

წლეულს - სპორტის სასახლეში...

თბილისის სპორტის სასახლეში ხალიჩები გაიშალა – ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობებში საქართველოს 2019 წლის ჩემპიონატი იმართება, რომლის შედეგებითაც საქართველოს ნაკრების ახალი შემადგენლობა გამოიკვეთება.

ოთხდღიანი შეჯიბრების პირველ დღეს საქმეში ჩაებმებიან ბერძნულ-რომაული სტილის ფალანგები 55, 67 და 87 კილოგრამ წონით კატეგორიებში და თავისუფლები – 65, 79, 86 და 97 კილოგრამებში. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და ნაკრებების სამწვრთნელო შტაბების გადაწყვეტილებით, საქართველოს პირველობაზე მონაწილეობა ყველა ტიტულოვანი მოჭიდავისთვის სავალდებულოა. გამონაკ-

ლისი მხოლოდ რამდენიმე ტრავმირებული შეეხო.

შიდა კონკურენციაში სხვებთან ერთად ჩაებმებიან: ნუგზარ ნურნუშია, გიორგი თოსაძე (ორივე 55 კგ), რამაზ ზოიძე, საჩინო დავითაია, გიორგი კურტანიძე (სამივე 67 კგ), რობერტ კობლიაშვილი, ზურაბ დათუნაშვილი (ორივე 87 კგ), დავით ხუციშვილი, ნიკა კენჭაძე, ტარიელ გაფრინდაშვილი (სამივე 79 კგ), სანდრო ამინაშვილი, ზაურ ბერაძე (ორივე 86 კგ), ელიზბარ ოდიკაძე, გივი მაჭარაშვილი და ზურაბ ურთაშვილი (97 კგ). წინასწარი ეტაპის შეხვედრები 11-დან 15 საათამდე გაიმართება, 17 საათზე კი ნახევარფინალები დაიწყება.

მანუარ გიორგაძე



ოლიმპიზმი



თილისა უპუჩიის

ბანსად ლოზანა ზამთრის მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ლოზანა-2020-ის საორგანიზაციო კომიტეტმა მომავალი თამაშების თილისა – იოდლი წარადგინა, რომელიც ადგილობრივი ხელოვნების სკოლის სტუდენტებმა შეიმუშავეს, არჩევანი კი ახალგაზრდა სვეიცარიელმა სპორტსმენებმა გააკეთეს, რომლებმაც სხვა ნამუშევრებს შორის იოდლი გამოარჩიეს.

იგი ჰიბრიდული არსებაა, რომელშიც შერწყმული არიან სვეიცარიის მთების ბინადრები: ძროხები, თხები და სენბერნარის ჯიშის ძაღლები. ამასთან, იოდლი სიმბოლურად განასახიერებს ზამთრის ახალგაზრდულ

ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა მრავალფეროვნებას.

2020 წელს ლოზანას 15-დან 18 წლამდე ასაკის 1800 ათლეტი ეწვევა, რომლებიც საკუთარ ძალებს მოსინჯავენ სპორტის 8 სახეობაში. შეჯიბრებები ჩატარდება სვეიცარიასა და მეზობელ საფრანგეთში.

ჯეჰან დოლიძე

ზამთრის თასი



დარბაზის ფეხბურთის სამდღიან საახალწლო ფესტივალს 13 იანვარს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ლეგენდების ტურნირი დაასრულებს. წელს პირველად ზამთრის თასში ფიფას ნაკრები მონაწილეობს – მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გუნდი თბილისში უეფას, ესპანეთის, უკრაინის, თურქეთისა და საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად ზამთრის თასის მოსაპოვებლად იბრძობებს.

მოსასპარეზო 2 სამგუნდიან ჯგუფში შემადგენიარად გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი – საქართველო, ფიფა, თურქეთი;

ბ ჯგუფი – უეფა, ესპანეთი, უკრაინა.

მატჩებზე დასწრება უფასოა და, ამასთან, მყურებელი სპეციალურად მოწყობილ ზონაში მსოფლიო ფეხბურ-

თის ლეგენდებთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებასაც შეძლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხსუქგვერდზე გულშემატკივართათვის ზამთრის თასი 2019-ის სპეციალური კონკურსი უკვე მიმდინარეობს. მოგების მთავარი პირობაა, მინიმუმების შესაბამისად, პირველმა გამოცნობით იმ ვარსკვლავის ვინაობა, ვინც 2019 წლის ზამთრის თასში მიიღებს მონაწილეობას. თამაშდება ეროვნული ნაკრების მაისურები, რომელსაც გამარჯვებულები მატჩის დღეს მიიღებენ და ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო შეხვედრებზე დასასწრები ბილეთები. ზამთრის თასის 2019 წლის თამაშების მონაწილე გუნდების სრული შემადგენლობები კონკურსის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

გიორგი შოთაძე

ლეგიონერი



ბითაძის რვიანები

ლური ფოლის მიღებამდე ჩვეულად აქტიურად ირჯებოდა.

ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 23 წუთში 8 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში), 2 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 2 საჯარიმო ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, ბითაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ის პოდგორიცელთა რიგებში მხოლოდ ნორის კოულს (27) ჩამორჩა. ამერიკელმა უკანასაზღვრმა, რომელიც ნბა-ს 2-გზის ჩემპიონი გახლავთ, 25 ქულა ჩააგდო.

„ბუდუჩნოსტმა“ 3 მოგება და 14 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში კვლავაც მხოლოდ სტამბულის „დარუშაფაკას“ უსწრებს, რომელსაც დღეს მონტენეგროში უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

„ეპლეზა“ უყვარბული

პოლონური ფესვების მქონე ამერიკელი მოდელი და მსახიობი ემილი რათაკოვსკი ნამდვილად არ ჰგავს რიგით თანამემამულეებს. მას გოლფისა და ამერიკული ფეხბურთისკენ გული სულაც არ მიუხეცს და ევროპელთა მსგავსად, ეს გოგონაც ფეხბურთის (ამერიკელთათვის „სოკერის“) დიდი გულშემატკივარია.

ემილი რათაკოვსკი ბავშვობიდან იტალიური „რომას“ დიდი ქომაგია და „სტადიო ოლიმპიკო ზეც“ არაერთ თამაშს დასწრებას, ხოლო როდესაც „მგლეზი“ ყოველწლიურ ამერიკულ ტურნეში

მიემგზავრებიან, სულ რომ ცა და დედაწინა დაიქცეს, ემილი მათ არც ერთ მატჩს არ აცდენს და მისი დარი ერთგული ქომაგი მთელს დუნიაზე იშვიათად მოიძებნება. რომაული კლუბის ქომაგებში სამი წლის წინათ ხმებიც კი დადიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ეს ასული ლეგენდარული ფრანჩესკო ტოტის გულისსწორი იყო. ეს ჭორები საბოლოოდ არ დადასტურდა, თუმცა, სიყვარული ისეთი რამაა, როდის რა ფორმით იჩენს თავს – არავინ იცის.

როსტომ რაჭველიშვილი





საქაპური მსოფლიოს 100 საუკეთესო კერძს შორის დასახელდა!

TasteAtlas-ის რეიტინგის მიხედვით, საქაპური მსოფლიოს 100 საუკეთესო კერძს შორის დასახელდა. TasteAtlas პერიოდულად აკვეყნებს მსოფლიოს TOP 100 კერძის რეიტინგს. ამჯერად TasteAtlas-ის ფოტოსა, მსოფლიოს 100 სხვადასხვა გამორჩეულ კერძს შორის საქაპურიც მოხვდა.

„საქაპური, უბრალოდ ყველიანი პური, რომელიც ცნობილია, როგორც საქაპური, საქართველოში ყველაზე ცნობილი კერძია. ტრადიციულად მას ამზადებენ ყველით, კვერცხით, ფქვილითა და კარაქით. საქართველოში საქაპურის სხვადასხვა სახეობა არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ მისი მომზადება მოცარელათი ან ფეტით შესაძლებელია, ქართველები მას ან სულგუნით ან კიდევ იმერული ყველით ამზადებენ. საქაპურს აქვს განსხვავებული ფორმები. ძირითადად ეს არის იმერული საქაპური, რომელიც მრგვალია და აჭარული საქაპური, რომელიც დიახ, ხოლო მის ზედაპირზე მოთავსებულია ყველი, კვერცხი და კარაქი“, – აღნიშნულია TasteAtlas-ზე განთავსებულ აღწერაში.

TasteAtlas პირველი გლობალური საიტია, სადაც მსოფლიო რუკაზე წარმოდგენილია 5 000 ათასზე მეტი საკვები/კერძი ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. თითოეულ კერძს ასევე ახლავს რეკომენდაცია, თუ რომელ რესტორანში შეგიძლიათ ამ კერძის საუკეთესო ვარიანტი დააგემოვნოთ.

შარშან ყველაზე „უილბლონი“

2018 წელი ზოგიერთი IT კომპანიისთვის საკმაოდ წამყვანი აღმოჩნდა. მათთან ერთად დიდი თანხები დაკარგეს ამ კომპანიების დამფუძნებლებმაც.



ლურ ქსელ Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი იკავებს. Facebook 2018 წლის განმავლობაში ბევრ სკანდალში გაეხვდა, რის გამოც ცუკერბერგის ქონება დაახლოებით, 18,7 მილიარდი ამერიკული დოლარით 452,5 მილიარდამდე შემცირდა.

გასულ წელს კომპანია Inditex-ის (ZARA-ს ქსელი) დამფუძნებლის ამანსიო ორტეგას ქონებაც შემცირდა. ანალიტიკოსები მთელი წლის განმავლობაში კომპანიის მიმართ ნეგატიურ პროგნოზებს აკეთებდნენ. ორტეგამ მთლიანობაში 16,2 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა და Inditex-ის აქტივებმა 459,6 მლრდ შეადგინა. ევროპასა და ჩინეთში ავტომობილების გაყიდვების შემცირებამ გავლენა იქონია ჯორჯ შეფლერსა და მის კომპანია Continental AG-ზე. კომპანიის აქტივებზე ფასი 2018 წელს 46%-ით შემცირდა. ჯორჯ შეფლერმა კი 14 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა და მისი ქონება 412,4 მლრდ-მდე შემცირდა.

კიდევ ერთი ბიზნესმენი, რომლისთვისაც 2018 წელი არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა, Tencent-ის დამფუძნებელი მა ჰუანტეგია. მისი ქონება 10.1 მილიარდი ამერიკული დოლარით 435,1 მლრდ-მდე შემცირდა. ხუთეულს კი კარლოს სლიმ ელუ ასრულებს, რომელიც სატელეკომუნიკაციო კომპანია America Movil-ის დამფუძნებელია. კარლოს სლიმ ელუმ 2018 წელს 9.3 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა. კომპანიის ქონებამ წლის ბოლოსთვის 456,8 მლრდ შეადგინა.

ყველაზე „მკლავრი“ პასპორტი იაპონიას აქვს, საქართველო სიაში 51-ეა

2019 წლის მონაცემებით მსოფლიოში ყველაზე „მკლავრი“ პასპორტი, ისევე, როგორც შარშან, იაპონიას აქვს. ამის შესახებ ინფორმაცია „ჰენლის საპასპორტე ინდექსი“ ავრცელებს, რომელიც პერიოდულად ზომავს, თუ რამდენ ქვეყანაში მოგზაურობის საშუალებას იძლევა ამა თუ იმ სახელმწიფოს სამგზავრო დოკუმენტი.

პირველ ადგილზე გასული იაპონიის მოქალაქეებს 190 ქვეყანაში შეუძლიათ მოგზაურობა. მას ოდნავ ჩამორჩებიან მეორე ადგილზე გასული სამხრეთი კორეა და სინგაპური, რომლის პასპორტებიც 189 ქვეყნის კარს ხსნის. მესამე ადგილს საფრანგეთი და გერმანია იყოფენ – 188 ქვეყნით. მეოთხეზე კი დანია, ფინეთი, იტალია და შვედეთი არიან.

საქართველო ამ სიის შუაშია და 51-ე ადგილი უჭირავს. ქართული პასპორტით 114 ქვეყანაში შეიძლება მოგზაურობა. მეზობელი ქვეყნებიდან საქართველო მხოლოდ რუსეთს ჩამორჩება, რომელიც 119 ქვეყნით 48-ე ადგილზეა. თურქეთი 52-ზეა 111 ქვეყნით, აზერბაიჯანი 74-ზეა (66 ქვეყანა), სომხეთი კი – 79-ზე (61 ქვეყანა).

სხვა ტენდენციებს რაც შეეხება – ჩინეთი ორი წლის განმავლობაში 20 ადგილით დაინაწიდა და 85-ე ადგილიდან 69-ზე გადავიდა. კარგი მაჩვენებელი აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომლებიც, აშშ-სთან და ნორვეგიასთან ერთად, წამყვან პოზიციებს იკავებენ. აშშ და დიდი ბრიტანეთი მეექვსე ადგილს იყოფენ, რაც უკან გადადგმული ნაბიჯია – ეს ორი ქვეყანა 2015 წელს სიის სათავეში იყვნენ.



ქართველი დიზაინერების მიერ გაყიდულმა პროდუქციამ 380 000 ევრო შეადგინა

პარიზის მოდის კვირეულში მონაწილეობის შედეგად ქართველი დიზაინერების მიერ გაყიდულმა პროდუქციამ 380 000 ევრო შეადგინა. დიზაინერებმა 1934 ერთეულის (ტანსაცმელი) ექსპორტი განახორციელეს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 12 ქართველი დიზაინერი, 2018 წლის 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, საფრანგეთში, ქ. პარიზში, მოდის კვირეულის (Paris Fashion Week) თანმდევ ღონისძიებებში (More dash Showroom, Maison Pyramide Showroom, Tomorrow Showroom, Tranoi Showroom) მონაწილეობდა. სააგენტომ „ანარმოე საქართველოში“ საგამოფენო ფართის ქირის ნაწილი – 50% დაფარა. გამოფენას 130-მდე ვიზიტორი და პოტენციური მყიდველი ჰყავდა.

გამოფენაში მონაწილეობის მიზანს ქართველი დიზაინერებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორობის შექმნა, საქმიანი ურთიერთობის დამყარება და ექსპორტის გაზრდა წარმოადგენდა. სააგენტომ „ანარმოე საქართველოში“ მოდის ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით პერმანენტულად ახორციელებს მსგავს ღონისძიებებს. მაგალითისთვის, 21-26 ივნისს გამართულ ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობის შედეგად, ექსპორტზე 7 ქართველი დიზაინერის 1513 ერთეული (ტანსაცმელი) გავიდა. ექსპორტზე გასული პროდუქციის ღირებულებამ მაშინ 240 000 ევრო შეადგინა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 299-02-10
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იხეივანე გამომცემლობა
„ქოლორ პრესში“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუქმნავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაქმნა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილვლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

	უხსოვრი პალატის კარგი:	აიონი 11 იანვრისთვის	დაავიკავით, მოგვწერეთ:
	აუშ დოლარი - 2.6675; აშშ - 3.0543;	აღმოსავლეთი საქართველო:	ტელ: 299-02-10,
	ბრიტანული მიკრონიზია სტრკლინი - 3.3939	ბარა - ლაშქ -5, ლაშქ +10	599-79-76-79, 568-82-09-84
	100 რუბლი - 3.9804; თურქული ლირა - 0.4835;	მიანი რაიონები - ლაშქ -10, ლაშქ +5	ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
ახარბაიჯანული მანათი - 1.5731;	დასავლეთი საქართველო:	და sakresp@top.ge	
1000 სომხური დრამი - 5.4943.	ბარა - ლაშქ +5, ლაშქ +14		
	მიანი რაიონები - ლაშქ -9, ლაშქ +9		
	თიანეთი: ლაშქ -3, ლაშქ +8		